ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 7

8 აპრილი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

11:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისა და საკრებულოს წევრები:

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ოგბაიძე

ირაკლი ნადირაძე

შოთა გრიგოლია

ლევან ჟორჟოლიანი

ავთანდილ ცინცაძე

ლევან აბაშიძე

გივი ჩხარტიშვილი

ასევე ცხრა აპრილს დაღუპულთა ოჯახის წევრები და ახლობლები:

ლონდა ნოზაძე

ანა ალბუთაშვილი

გივი ქირიკაშვილი

გულიკო სამარგულიანი

ეკატერინე დათიაშვილი

მანანა სალუქვაძე

სოფო თოიძე

ანანო კონიაშვილი

ნინო ჩხეიძე

გიორგი ჩხეიძე

დათო ქვასროლიაშვილი

სხდომა გახსნა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩის მონაკვეთისთვის და IV ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნინო თოიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნატო გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ვენერა მეტრეველის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV და V ქუჩების მონაკვეთებისთვის და ერთი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის II შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მარინა ჭყონია-სამარგულიანის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის II შესახვევის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნანა სამარგულიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ზაირა კიკვიძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და შალვა ცინცაძის ქუჩის გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მამუკა ნოზაძის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყეკულტურის III შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული შალვა ქვასროლიაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მან მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს და სტუმრებს მობრძანებისთვის და წარადგინა ათი საკითხი, რომელიც თბილისის ქუჩებისთვის 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა სახელების მინიჭებას ეძღვნება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 9 აპრილს თავისუფლებისთვის ბრძოლას ოცდაერთმა ადამიანმა შესწირა სიცოცხლე. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წინა მოწვევის შემადგენლობას, რომელმაც დანერგა ეს პრაქტიკა და თბილისის ქუჩებს მიანიჭა 9 აპრილს დაღუპული თერთმეტი გმირის სახელი. საკრებულოს გადაწყვეტილებით თბილისში 9 აპრილს დაღუპულთა

ყველა გმირის სახელობის ქუჩა იქნება. დღევანდელი ინიციატივით რამდენიმე რაიონში ნინო თოიძის, ნატო გიორგაძის, ვენერა მეტრეველის, აზა ადამიას, მარინა ჭყონია-სამარგულიანის, ნანა სამარგულიანის, ზაირა კიკვიძის, ნოდარ ჯანგირაშვილის, მამუკა ნოზაძის და შალვა ქვასროლიაშვილის სახელობის ქუჩები მიემატება დედაქალაქს.

კომისიის თავმჯდომარემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი, ისაუბრა 9 აპრილს დაღუპულების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. კენჭი უყარა თითოეულ საკითხს, კომისიის წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს ათივე საკითხს.

სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებს და საკრებულოს წევრებს სიტყვით მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ. მან აღნიშნა, რომ დღევანდელი ინიცირებით ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება. გასული პერიოდის განმავლობაში გაიმართა არაერთი შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დასრულდა 9 აპრილს გმირულად დაღუპულების სახელდების პროცესი, რომელთაც მართლაც შექმნეს საქართველოს უახლესი ისტორია. მათ თავი შესწირეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. 9 აპრილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღეა. ეს არის როგორც ტკივილის, ასევე დიდი გამარჯვების, ერთიანობის დღე. ათეული წლების შემდგომ, დღესაც ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეულია გმირების სახელების უკვდავყოფა. დღეს ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია და ამ ადამიანების თავგანწირვის მაგალითი დღესაც აქტუალურია. თავმჯდომარის განცხადებით საკრებულოსთვის დიდი პატივია საქართველოსთვის თავდადებული გმირების სახელების უკვდავყოფა.

9 აპრილს დაღუპულთა ოჯახის წევრებს და სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს მიმართა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრმა ირაკლი ნადირაძემ. მან აღნიშნა, რომ მისთვის ასევე დიდი პატივია, რომ აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს კომისიის იმ სხდომაში, სადაც კიდევ ერთხელ მოხდება ჩვენი გმირების სახელების უკვდავყოფა. „9 აპრილის დღე არის დიდი ტრაგედიის დღე, თუმცა ეს დღე, ტრაგედიიდან ზუსტად ორი წლის თავზე, 1991 წლის 9 აპრილს, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ და გადაიქცა დიდი ზეიმის და ერთიანობის დღესასწაულად. ჩვენ ძალიან ბევრი უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალმა თაობამ საქართველოს ზუსტად ისე შემოუნახოს მათი სახელები, როგორც იმსახურებენ ჩვენი გმირები. თავისუფლებისთვის ბრძოლა მოითხოვს ყოველდღიურ ბრძოლას ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი მთავარი ამოცანაა რომ ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი გმირების სახელების უკვდავსაყოფად და დავაფასოთ სათანადო წესით“. მან სრული მხარდაჭერა გამოუცხადა აღნიშნულ ინიციატივას.

აზრი გამოთქვა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრმა შალვა ოგბაიძემ, რომელმაც აღნიშნა: "მე ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი მონაწილე 1978 წლის 14 აპრილიდან ყველა იმ საპროტესტო გამოსვლისა და ღონისძიებისა, რაც გამართულა რუსთაველის პროსპექტზე. ასევე მონაწილე ვიყავი 9 აპრილის მოვლენებისა. ეს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთგვარი ხარვეზია, რომ ამ ადამიანების სახელები აქამდე არ იყო უკვდავყოფილი. ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს უნდა ვასწავლოთ მათ მაგალითზე, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო. მე მინდა ერთი რიგითი დეპუტატის სახელით მივულოცო ჩვენს თანამოქალაქეებს იმ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, რასაც 9 აპრილის გმირების სახელების უკვდავყოფა ჰქვია".

დასასრულს, მოწვეულმა სტუმარმა, ზაირა კიკვიძის შვილიშვილმა, ანა ალბუთაშვილმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას აღნიშნული ინიციატივისთვის. მან აღნიშნა : „ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ ვარ 9 აპრილს გმირულად დაღუპული ზაირა კიკვიძის შვილიშვილი. ბებია შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. ფასდაუდებელია მათი წვლილი ამ ბრძოლაში".

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე